ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№4(120)
აპრილი
2024 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

ლიბერალებით ევროპისაკენ!

29 აპრილს რუსთაველის გამზირზე საყოველთაო-სახალხო შეკრება გაიმართა.

შეკრება საქართველოს ეროვნული ჰიმნით გაიხსნა.

შეკრებილებს სიტყვით მიმართეს „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ, თბილისის მერმა, კახა კალაძემ და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი ღარიბაშვილმა.

ტრიბუნა ასევე დაეთმოთ ახალგაზრდებს. სიტყვით გამოვიდნენ ბაქარ ადამია, ქეთი კეკელია და ვაჟა კოკაია.

საქართველო უნდა მართოს ქართველი ხალხის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ!..

...2022 წლის დასაწყისიდან დღემდე, საქართველომ გადაიტანა ურთულესი ბრძოლა ომის თავიდან ასაცილებლად და მშვიდობის შესანარჩუნებლად. ბუქარესტის 2008 წლის სამიტის დაპირების მიუხედავად, საქართველო და უკრაინა არ გააწევრიანეს ნატოში და ორპირ ქარში დააყენეს. ყველა ასეთ გადაწყვეტილებას გლობალური ომის პარტია იღებს, რომელიც ნატოზეც და ევროკავშირზეც გადამწყვეტი გავლენით სარგებლობს და რომლისთვისაც საქართველოსაც და უკრაინასაც მხოლოდ საზარბაზნე ხორცის ფასი აქვს. მათ ჯერ

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ **ბიძინა ივანიშვილმა** თავის გამოსვლაში **(იბეჭდება შემოკლებით)** თქვა:

„...საქართველომ 33 წლის წინ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. თუმცა, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მერაბ კოსტავა გვაფრთხილებდა: „დაიმახსოვრეთ, თქვენ მოესწრებით იმ დროს, როცა საქართველო თავისუფალი გახდება! მაგრამ იცოდეთ, თუ მაშინაც, დამოუკიდებელ ქვეყანაში, თავისუფლებისთვის შეწყვეტთ ბრძოლას, ამ თავისუფლებას დაკარგავთ თქვენც და ქვეყანაც“. მერაბ კოსტავას ეს შეგონება თითოეულ ფეხის ნაბიჯზე კარგად უნდა გვახსოვდეს.

2008 წელს საქართველო დააპირისპირეს რუსეთთან, ხოლო 2014 და 2022 წლებში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში უკრაინა ჩააყენეს. საქართველოს მიმართ გლობალური ომის პარტიის აგრესიის მთავარი მიზეზი ისაა, რომ დიდი ძალისხმევის მიუხედავად, საქართველო მეორე ფრონტად ვერ აქცია, რასაც ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნების პირობებში ძალიან მარტივად მიაღწევდა.

...საქართველოს ბედი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ამ წლების განმავლობაში ჩვენ დავაგროვეთ

დასასრული მე-2 გვერდზე

ღირსებით ევროპისაკენ!

პირველი გვერდიდან

საკმარისი რესურსი, რომ სუვერენიტეტის სრულად განმტკიცება დავიწყოთ. სწორედ ამას ემსახურება კანონიც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. არჩევნების შემდეგ კი, ჩვენ გვექნება იმის საშუალება, რომ კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას გამოვუტანოთ მკაცრი პოლიტიკური და სამართლებრივი განაჩენი, რომელსაც ის 9-წლიანი სისხლიანი მმართველობისა და 12 წლიანი „მაოხრებელი გზირობისთვის“ იმსახურებს.

არჩევნების შემდეგ, ნაციონალური მოძრაობა მკაცრად აგებს პასუხს ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც მან 2 ათწლეულის მანძილზე ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა!

...გაძლევთ პირობას, რომ ყველა წინააღმდეგობას გადავლახავთ, სუვერენიტეტსაც განვიმტკიცებთ, მშვიდობასაც შევინარჩუნებთ, ქართულ ეკონომიკასაც გავაძლიერებთ და 2030 წელს გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ჩვენ ვართ უნიკალური ერი უნიკალური ისტორიით, ტრადიციებითა და იდენტობით. სწორედ ამ უნიკალური ეროვნული ტრადიციებითა და იდენტობით უნდა გავწევრიანდეთ საერთო ევროპულ ოჯახში, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ნამდვილი ფასი ევროკავშირს საქართველოსთვის და საქართველოს ევროკავშირისთვის...

...თავისუფალი, დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო, ევროკავშირის წევრი საქართველო, გაერთიანებული და გამთლიანებული საქართველო, ეს არის ჩვენი ქართული ოცნება, რომელსაც ყველა ერთად აუცილებლად ავიხდენთ.

კიდევ ერთხელ წინასწარ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! გისურვებთ სულიერ და ფიზიკურ მხნეობას, ბედნიერებას და წარმატებებს თქვენ და თქვენს ოჯახებს!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ, სუვერენულ და ერთიან საქართველოს!“

გაეროს ქვეყნების ელჩები წეროვანში

წეროვნის დევნილთა დასახლებას გაეროში აკრედიტებული ხუთი ქვეყნის - ვიეტნამის, სალვადორის, ომანის, ჩადის, დომინიკის ელჩები სტუმრობდნენ.

შეხვედრა წეროვნის №3 საჯარო სკოლაში გაიმართა. დელეგაციას მასპინძლობას უწევდა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი, მოადგილე ბონდო ყველაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი, წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის დირექტორი ირმა ტატიშვილი.

სტუმრები გაეცვნენ დევნილთა საყოფაცხოვრებო და სოციალურ პირობებს, განხორციელებულ რეფორმებსა და პროექტებს.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს ერთ-ერთი დევნილი ოჯახი და სიმბოლური საჩუქარი გადასცეს.

ახალგორი

ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
ელფოსტა: gazeti.akhalgori@gmail.com

მცხეთის ჯეო ჰოსპიტალი წეროვნის დევნილთა დასახლებაში

აპრილის თვეში წეროვნის დევნილთა დასახლებაში იმყოფებოდა მცხეთის ჯეო ჰოსპიტალის სამედიცინო პერსონალი; კარდიოლოგი, ნევროლოგი, ოფთალმოლოგი, პედიატრი და სხვ. რომელთაც უფასო სკრინინგ აქცია, უფასო კონსულტაციები და ინსტრუმენტული კვლევები ჩაუტარეს 70 პაციენტს.

9 აპრილი – ტკივილისა და სიამაყის დღე

„არ შეიძლება სისხლიანი ამ გაზაფხულის გადავიწყება, ამოძირკვა, ქარს გატანება...“ – ეს ლექსი და სხვა მრავალი, ცრემლიანი კალმით ნაწერი, რუსთაველზე, ხეებზე იყო გაკრული 1989 წლის 9 აპრილის დღეებში...

35 წელი გავიდა იმ 9 აპრილიდან, როცა ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში, რუსთაველზე, ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა დამოუკიდებლობის მოთხოვნით. რუსეთის დანაყოფებმა მიმდინარე აქცია დაარბიეს და დაშალეს მომწამლავი გაზით, ჯავშანტექნიკით, სასანგრე ნიჩბებით... ღამის წყვდიადში ჯავშანტექნიკის შემზარავ გრუხუნს, მოახლოებულ სიკვდილის ცელს თითქოს წინ ეღობებოდა უსინათლო გოგონათა სამშობლოს სიყვარულით გაწკრიალებული და გასპეტაკებული ხმა: „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს!..“

იშვიათია ერი, სიკვდილს სიმღერით ხვდებოდეს...

გამთენიისას, საქართველოს თავისუფლებისათვის სიცოცხლეშეწირულ 21 გმირს დასტიროდა სრულიად საქართველო... ამ დღეს დაშავდა და მოიწამლა აქციის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა...

1989 წლის 9 აპრილი გარდამტეხი აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

35 წლის შემდეგ, ამ დღის ტკივილის, მწუხარების, უდიდესი ტრაგედიის და თავგანწირვის მომსწრენი ამ დღეს ვიხსენებთ, როგორც ტკივილისა და სიამაყის, ტრაგედიისა და სიხარულის დღეს. 1989 წლიდან ზუსტად ორი წლისთავზე 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, როდესაც აფხაზეთმაც და სამხრეთ ოსეთმაც ხმა დამოუკიდებელ საქართველოს მისცა / ასე გაერთიანებული, ერთ მუშტად შეკრული საქართველო იშვიათად შემოუნახავს ისტორიას/ საქართველოს უზენაესი საბჭოს შენობაში ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოაცხადა.

რა მწარედ, მაგრამ სამართლიანად დაგვიბარა ქართველებს ლევან გოთუამ, როცა ცეცხლწაკიდებულ'„გმირთა ვარამს“ წერდა შორეული ციმბირის ჯურღმულებში: „ჩვენში ერთდროულად, არეულად და შეტყუპებულად ორი საქართველო ცხოვრობს: საქართველო გმირთა, წამებულთა, ქვეყნის უანგარო ჭირისუფალთა და საქართველო მოღალატეთა, რჯულგადამდგართა, ფიცის მტეხელთა და შეჩვენებულთა...“

და ამ 35-მა წელიწადმა ბევრი ქარტეხილი გადაიტანა რჯულგადამდგართაგან, ფიცის გამტეხელთაგან... შინაურ თუ უცხო'„ძმათაგან“, დავცოტავდით, დავპატარავდით საზღვრებშემოფლეთილ ჩვენს პატარა „ცაფირუზ, ხმელეთ- ზურმუხტოვან“ საქართველოში,'საკუთარი სახლ-კარიდან დევნილებად ვიქეცით, ბეწვის ხიდზეც ვიარეთ, მაინც გავძელით, გადავრჩით და ილიასი არ იყოს,'„საქოლავი არვის ავაგებინეთ“... – სამოთხედ ვაქციეთ ჩვენი ახალი საცხოვრისი ლამაზი მომავლის იმედით.

9 აპრილს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ ბალაშვილმა, მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან გიორგი კაპანაძესთან, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერთან დიმიტრი ზურაბიშვილთან, მცხეთის საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ელოშვილთან, მცხეთის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატთან ჯონი ბაშარულთან, თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად წეროვნის დასახლებაში არსებულ სკვერში 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით და გვირგვინებით შეამკეს.

სამუშაო შეხვედრა რწმუნებულებთან

ახალგორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებთან საქმიანი ურთიერთობა და საერთო აქტივობებში ჩართულობაა. ამ დღეებში მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა სამუშაო შეხვედრა გამართა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებთან. სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს მოსახლეობის მოთხოვნადი ყველა ის ძირითადი საკითხი და პრობლემა, რომელიც აუცილებელ გადაწყვეტას საჭიროებს. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები.

მასწავლებელი რამ დაგვავიწყოს...

მასწავლებელს თითქოს საგალობელი შეუქმნა დიდმა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა თავისი ცნობილი, უკვდავი ლექსით... „ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდაო“, ან „მასწავლებელი რამ დაგვავიწყოსო“... მარტო ეს სტრიქონებიც კი იკმარებდა ამ ლექსის უკვდავებისათვის... მართალც, არ არსებობს ადამიანი, პირველი მასწავლებელი რომ არ ახსოვდეს... არ არსებობს ადამიანი, მის ცხოვრებაში წარუშლელი კვალი რომ არ დაემჩნიოს რომელიმე მასწავლებელს...

დღეს გიამბობთ ორ ღვაწლმოსილ მასწავლებელზე, რომლებმაც თითქმის ნახევარი საუკუნე შეალიეს ბავშვთა აღზრდა-განათლების საქმეს...

ყველაზე კარგი პროფესია მასწავლებლობაა

ნელი ბედოევასათვის მასწავლებლობა ბავშვობის ოცნება იყო...

მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა, ერთმანეთიც უყვარდათ და-ძმებს და ერთმანეთზეც ზრუნავდნენ. მშობლებსაც ეხმარებოდნენ სხვადასხვა საოჯახო საქმეში.

17 წლის იყო, როცა ახალგორის საბავშვო ბაგა-ბაღში მივიდა სამუშაოდ... ეს მისი ოცნება იყო... ძალიან უყვარდა პატარები და თავადაც პატარა მათ მასწავლებლობაზე ოცნებობდა. ამიტომ ჩააბარა პედაგოგიურ ინსტიტუტში. თან სწავლობდა, თან მუშაობდა. იმ დროს უმაღლეს სასწავლებლებს ჰქონდა დაუსწრებელი ფაკულტეტები, სადაც სწავლის პარალელურად მუშაობაც აუცილებელი იყო.

ნელი 43 წელიწადი მზრუნველ მებაღესავით დასტრიალებდა პატარებს – 1 წლის, ან 2 წლის ასაკში რომ მიბაჯბაჯებდნენ საბავშვო ბაღში ხან ტირილით, ხან ცრემლიანი თვალებით დედის კალთას მოწყვეტილები, – ნელი მოეფერებოდა, დაამშვიდებდა, ჯგუფში, ამ საოცრად ლამაზ სამყაროში შეიყვანდა და ცრემლების მაგივრად სიხარული რომ აუკიაფდებოდათ, ნელისაც უხაროდა მათთან ერთად...

რამდენიმე წელი გულმოდგინედ ასწავლიდა ხატვას, ძერწვას, აპლიკაციას, თვლა-ანგარიშს, სხვადასხვა დიდაქტიკურ თამაშს. მერე სკოლისაკენ გაისტუმრებდა დაფრთიანებულებს და მომავალი სასწავლო წლიდან ისევ პატარებს მიუბრუნდებოდა...

– არ მწყინდებოდა პატარებთან ყოფნა, – თითქოს სევდიანად მიამბობს ნელი, – მათი ცხოვრებით ვცხოვრობდი. მენატრება ის წლები, მათი „გემის“ კაპიტანიც ვყოფილვარ, თოვლის პაპაც, დათუნიაც, სხვადასხვა ზღაპრის გმირიც... პატარები პირველად რომ შემოდიოდნენ ჩემს ჯგუფში, მეტყველებაც უჭირდათ, ჭამაც, ჩაცმაც, ხელის დაბანაც... ჩვენ აღმზრდელები ვიყავით, მშობლიური სითბო სჭირდებოდათ უფრო მეტად, ცოტა რომ მოიზრდებოდნენ, პატარ-პატარა ლექსებს ვასწავლიდით, ზღაპრები უყვარდათ... ზეიმებს ვამზადებდით, ძალიან საინტერესოა და ძალიან ლამაზი პატარებთან მუშაობა.

ბევრჯერ მინატრია, ისევ ახალგაზრდა ვიყო და ისევ პატარებთან ვმუშაობდე... სიზმარშიც კი ვხედავ, რომ სამსახურში მიმეჩქარება.

დრო შეიცვალა. ადრე ამდენი საშუალებები არ იყო, უფრო გამარტივებულია ბავშვისა და აღმზრდელის ურთიერთობა, მეცადინეობა, პატარები სოციალური ქსელის მეშვეობით, – ოჰ, ეს მობილური ტელეფონები (იღიმის), უამრავი თამაში, მულტფილმები იციან. უცხო ენასაც კი სწავლობენ დამოუკიდებლად...

– თქვენი ქალიშვილი ეკა ჯაბანაშვილი თქვენს პროფესიას გაჰყვა... ახალგორის საბავშვო ბაგა-ბაღში მუშაობს და ძალიან უყვართ პატარებს, მათ მშობლებს, კოლეგებიც პატივს სცემენ პროფესიონალ მასწავლებელს, ბავშვებისა და საქმის ერთგულს.

შვილებთან – ეკა და მაკა ჯაბანაშვილებთან

– კი, ასეა. ეკა სამსახურიდან როცა ჩვენთან მოდის, ყველაფერს დაწვრილებით ვეკითხები, დღეს რა ასწავლა ბავშვებს, რაზე ესაუბრა... როგორი ღონისძიება ჰქონდა... მაინტერესებს... ხან უკვირს ჩემს შვილს და ეცინება, მაინც მიამბობს, რომ ძალიან კარგი ჯგუფი ჰყავს და ასე შემდეგ... მეც ვუმეორებ, რომ ძალზე დიდი მისია აკისრია საბავშვო ბაღის მასწავლებელს...

– ცოტა შაბლონურია, მაგრამ თავიდან რომ იწყებდეთ ცხოვრებას?..

– ასჯერ რომ დავიწყო ცხოვრება თავიდან, ისევ პატარებთან ვიმუშავებდი, რასაკვირველია...

– ეს წლები სულ საბავშვო ბაღში გაატარეთ?..

– 43 წელიწადი, შემდეგი 4 წელიწადი უდედმამო ბავშვთა სახლში ვიმუშავე... ეს საქმეც ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის... სხვანაირი პასუხისმგებლობა კი იყო თითქოს... საბავშვო ბაღიდან ბავშვები სახლში, მშობლებთან მიდიოდნენ, შაბათ-კვირა მათთან ცხოვრობდნენ, აქ კი მხოლოდ მასწავლებელი არა ხარ, თითქოს მშობელიც ხარ, მეგობარიც, სხვანირი ურთიერთობა ყალიბდება განსაკუთრებით მოზარდებთან, დიდი სიფრთხილე და ტაქტი გჭირდება, რომ გული არ ეტკინოთ /ისედაც სევდიანები არიან, თითქოს პროტესტი აქვთ სამყაროს წინაშე/, თუ გულამდე ჩასწვდი, თუ მოგენდობიან, ძალიან თბილები და საყვარლები არიან...

– ბავშვები ასე რომ გიყვართ, შვილები ხომ არ ეჭვიანობდნენ?

– არა, არ ეჭვიანობდნენ, ეკაც და მაკაც ჭკვიანი,

ახალგაზრდებს ბევრი უამბეთ ახალგორზე, რომ მათაც უყვარდეთ...

არიან ადამიანები, რომლებიც მშვიდად, სიყვარულით, უხმაუროდ, პატიოსნად ასრულებენ თავის პროფესიულ მოვალეობას და ასევე უხმაუროდ იმკიან სიყვარულს, პატივისცემას, მათი კეთილი საქმეების გულით ნატარები ხსოვნა კი რჩება ლამაზ მოგონებებად თაობების ცხოვრებაში.

ასე უხმაურო, სადა, გულწრფელი დამოკიდებულება ჰქონდა თავის საყვარელ პროფესიასთან, მოსწავლეებთან **ღვაწლმოსილ პედაგოგს, საკავშირო მასწავლებელთა V ყრილობის დელეგატს ლალი ამირანაშვილს** თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე...

ლალიმ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და მშობლიურ რაიონში დაბრუნდა სამუშაოდ. პირველი ნათლობა მასწავლებლისა ახალგორის სკოლა-ინტერნატში მიიღო. საბჭოთა კავშირის დროს არ იყო მცდელობა სოფლისთვის სკოლა შეენარჩუნებინათ, იხურებოდა და უქმდებოდა სკოლები პატარა სოფლებში, ამიტომ იყო შექმნილი ახალგორის ცენტრში სკოლა-ინტერნატი, სადაც იმ სოფლის ბავშვები სწავლობდნენ, სადაც სკოლები აღარ ფუნქციონირებდა.

ოჯახებს მოწყვეტილი პატარების ახალ ცხოვრებასთან შეგუება იოლი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ სკოლის ნათელი, კეთილმოწყობილი შენობა, ასევე საცხოვრებელი კორპუსი, სასადილო, სამეცადინო, გასართობი ოთახები, სპორტული მოედანი, კვება სამჯერადი და ასე შემდეგ.

ლალი აქ მუშაობდა და პატარებს რუსთაველის ენას და საუკუნეებგამორიდებულ ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლა ეხალისებოდათ პატარებს, რადგანაც ლალი მასწავლებელი ძალიან გულთბილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. ხმას არ აუწევდა, შუბლს არ შეიჭმუხნიდა, არ უბრაზდებოდა პატარა ონავრებს. თავის დანიშნულებად მიაჩნდა საგანი შეეყვარებინა ბავშვებისთვის და თითოეულ გაკვეთილზე ცოდნა, მხოლოდ ცოდნა

შვილიშვილები – ლექსო ოდიშვილი, გიორგი და ნიკოლოზ ცქვიტიშვილები

მიეწოდებინა. სწავლის სურვილი და წყურვილი გაეჩინა თითოეულ მოსწავლეში... გვიან ღამემდეც დარჩენილა მათ საცხოვრებელ კორპუსში, რომ ბავშვები თავადვე ემეცადინებინა, მოემზადებინა საკონტროლო წერისთვის ან რომელიმე ლამაზი ღონისძიებისათვის...

მერე სიყვარულით შექმნა ოჯახი, ოდიშვილების რძალი გახდა. ორი თვალებმერცხალა შვილის ნინოს და მიშიკოს დედობამ კიდევ უფრო გაუცისკროვნა ცხოვრება...

სკოლა-ინტერნატიდან თავის მშობლიურ ახალგორის პირველ საშუალო სკოლაში გადავიდა სამუშაოდ ისევ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ასე გასრულდა 49 წელი...

დღეს წეროვნის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს. 2008 წლის ომმა მის გულზეც გადაიარა... სევდით, ტკივილით, წარსულის მოგონებებით აუვსო ცხოვრება სიბერის კართან...

ახლახან 70 წლის შესრულდა... ამ იუბილეს შვილების და შვილიშვილების გარემოცვაში შეხვდა მეუღლესთან ერთად...

– ცხოვრებაში რა არის მთავარი?

– მთავარი ჯანმრთელობაა... ასე რომ იტყოდნენ ხოლმე, ახალგაზრდა რომ ვიყავი, მაინცდამაინც ყურადღებას არ ვაქცევდი... ჩემი ცხოვრება თითქოს ერთნაირი, მსგავსი დღეებისა და წლებისგან შედგებოდა, მაგრამ ბედნიერი ვიყავი... კიდევ გეტყვით, მთავარი ჯანმრთელობაა და იმ საქმეს უნდა აკეთებდე, რაც შეგიძლია და რაც გიყვარს...

მასწავლებლობა ჩემთვის იყო სიხარულის, ყოველდღიური მოტივაციის წლები. მადლობა უფალს, მე ეს შევძელი, რომ თითქმის 50 წელი ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურე. არასდროს მიღალატია ბავშვებისთვის, არც მოუმზადებელი მივსულვარ სკოლაში... და როცა წარსულ წლებზე ვფიქრობ, გულწრფელად მიხარია, რომ ასეა.... სათქმელად თითქოს იოლია... 49-ჯერ შევხვდი ახალი სასწავლო წლის დაწყებას, 49-ჯერ მივულოცე ბავშვებს და ჩემს კოლეგებს თავდაპირველად პირველი სექტემბერი, შემდეგ წლებში სასწავლო წლის დაწყება... ცხოვრებაში მთავარი სიყვარულია, სიყვარული ყველგან და ყველაფერში...

– ისევ რომ მასწავლებელი იყოთ, რას შეცვლიდით...

– შეიძლება ვინმემ ყავლგასულად ჩამითვალოს ეს სურვილი, მაგრამ მოსწავლეების ჩაცმულობაში რაღა-

დასასრული მე-8 გვერდზე

ხალისიანი ბავშვები იყვნენ, პატარაობისას უკვირდათ, სხვა ბავშვები მასწავლებელოს რომ მეძახდნენ...

– რას ეტყვით კოლეგებს...

– პირველ რიგში, სიკეთეს ვუსურვებ... მომავალი თაობის აღზრდაზე, მათ პიროვნულ ჩამოყალიბებაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს ძლიერება, მომავალი... ეს მათაც იციან. ადრე, ჩვენს დროს, ასე ვამბობთ ხოლმე, სკოლაში მუშაობა თითქოს უფრო პრესტიჟული იყო, ახლა აღარავის არ უნდა მასწავლებლობა... გულსატკენია... ხელფასები უნდა გაიზარდოს, ახლა სხვანაირი მომზადება და განათლება სჭირდება მასწავლებელს... რამდენი წელია, არ გამიგია, ვინმე პედაგოგიურ ფაკულტეტზე აბარებდეს... ჩემი აზრით, ყველაზე კარგი და აუცილებელი პროფესია მასწავლებლობაა...

მუსიკა არის ყველგან და ყველაფერში

ახალგორის სამუსიკო სკოლაში 100-ზე მეტი მოსწავლეა. მათ კვალიფიციური, დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგები ასწავლიან ფორტეპიანოს და ხალხური საკრავების /ფანდური, დოლი, სალამური/ ხელოვნებას.

„მუსიკა დგას ყველაზე მაღლა და ის იმორჩილებს ყველაფერს“. – სწორედ გოეთეს ამ გენიალური სიტყვებით დავიწყეთ საუბარი სამუსიკო სკოლის დირექტორთან მარინა ხრიკულთან.

– მუსიკა, ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანისათვის. „იავნანას“ ფენომენი ყველა ქართველისათვის ცნობილია... მუსიკა არის ყველგან და ყველაფერში. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მუსიკალური განათლება აძლიერებს ტვინის ფუნქციებს. ბავშვი, რომელიც ადრე იწყებს მუსიკალური განათლების მიღებას, უფრო ლაღი, მოქნილი, აქტიური და ხალისიანია. ეს იმპულსი ყოველთვის დადებითია და მარადიული. ხანდაზმულობაში, როცა ადამიანებს გულმავიწყობა აქვთ, ბავშვობაში ნასწავლი მუსიკის მელოდიები მაინც ახსოვთ, მის მოსმენაზე ტვინის ფუნქციები გაცოცხლებას იწყებს და მათ ეღიმებათ, იხსენებენ, ღიღინებენ, ხელს, თავს ააყოლებენ რიტმულად.

რაც შეეხება კლასიკურ მუსიკას, ის ემოციების წყაროა, რადგან მას მოაქვს სიმშვიდე, აღფრთოვანება, სევდა, სიხარული, ზოგჯერ ცრემლიც კი...

ისტორიული განვითარების კვალდაკვალ, როგორც ამბობენ, ყოველი სიახლე, დავიწყებული ძველია... თუ გავიხსენებთ ანტიკურ პერიოდს, მაგალითად, საბერძნეთში მუსიკის მოსმენას სამკურნალო ფუნქციაც კი ჰქონდა. სხვადასხვა დროს არსებობდა შრომის სიმღერები, რომელიც პულსს აძლიერებდა. არსებობს სამგლოვიარო მუსიკა, რომელიც ჭირისუფალთა განწყობას გამოხატავს და ასე შემდეგ. რაც შეეხება კლასიკურ მუსიკას, როგორც გითხარით, ის ყველგან და ყველაფერშია. გინახავთ ფილმი კლასიკური მუსიკის გარეშე? ეპიზოდის ხასიათს ზოგჯერ მუსიკა განსაზღვრავს, რაც მაყურებელში ემოციას იწვევს, ან ცეკვა, თუნდაც ფოლკლორული, ეროვნული, ქართული ან უცხოური მუსიკის გარეშე არსებობს? მუსიკა არის სიცოცხლის წყარო, ის ჰაერივით გვჭირდება ადამიანებს...

მცხეთის მერიის საჩუქარი

სკოლაში ფორტეპიანოს გარდა ბავშვებს ვასწავლით ხალხურ საკრავებს. ხალხური მუსიკა, ფოლკლორი ხომ ჩვენი კულტურის უდიდესი ნაწილია, თითქმის დაბადებიდან ჩვენს სმენასთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან ჰარმონიულად შერწყმული.

ჩვენი სკოლის პედაგოგები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ბავშვებმა ჩვენთან ისწავლონ არა მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, არამედ თავიანთი სურვილით, ინტერესით...

– სკოლას აქვს საკმარისი თანამედროვე მუსიკალური ინსტრუმენტები?

– რასაკვირველია, გვაქვს. წლის დასაწყისში კულტურის სამინისტრომ გადმოგვცა ახალი ერთი როიალი, ერთი ფორტეპიანო, ხოლო ახლახან მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიამ გადმოგვცა კიდევ ერთი ახალი ფორტეპიანო.

ახალ, თანამედროვე ინსტრუმენტთან მუშაობა, მეცადინეობა, თუნდაც მუსიკის მოსმენა, გამოცდა, დახურული ან ღია კონცერტი მოსწავლეებს და მასწავლებლებსაც მოტივაციას გვიმაღლებს, სასწავლო

კონცერტი წილკნის საბავშვო ბაღში

„დედაენის დღეს“ მიეძღვნა

14 აპრილს, 1978 წელს, საქართველოს მოსახლეობა წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას, საქართველოში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ.

14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადდა. სწორედ ამ ისტორიულ თარიღს მიუძღვნეს ახალგორის კულტურის ცენტრი-ბიბლიოთეკის თანმშრომლებმა ფილმის ჩვენება, სადაც აღწერილია დედაენის წარმოშობისა და ისტორიის შესახებ, ფილმში ლამაზად არის გადმოცემული აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის იგავები, მოთხრობები. პატარებმა „იმოგზაურეს“ იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში. ფილმის ჩვენებაზე მიწვეულები იყვნენ ახალგორის ბაგა-ბაღის უფროსი, სასკოლო ასაკის ჯგუფი. მასპინძელთა სიყვარულით და სითბოთი სავსე გარემოში პატარა სტუმრებმა ლაღად, მხიარულად იგრძნეს თავი და ფილმის დასასრულს ლექსებიც წაიკითხეს.

23 აპრილი წიგნის საერთაშორისო დღეა

23 აპრილს მსოფლიოში წიგნის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ. თარიღი „იუნესკომ“ აირჩია და წიგნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ეს დღე ყოველწლიურად საქართველოშიც აღინიშნება.

1923 წელს კატალონიელი წიგნის გამყიდველების მიერ მიგელ დე სერვანტესისა და უილიამ შექსპირის გარდაცვალების დღეს, 23 აპრილს მოწყობილი წიგნების ფესტივალი ტრადიციად 1995 წელს იქცა.

„იუნესკოს“ გადაწყვეტილება მსოფლიომ დიდი ენთუზიაზმით მიიღო. განსაკუთრებით აქტიური ორი ქვეყანა გამოდგა: ნიდერლანდები, სადაც ამ დღესასწაულს „თეთრი წიგნის კვირეულით“ აღნიშნავენ და დიდი ბრიტანეთი, სადაც წიგნის მსოფლიო დღე დიდ დღესასწაულად იქცა, თანაც 23 აპრილი შექსპირის დაბადების დღეცაა.



დღესასწაულს საფუძველი 1923 წლის 23 აპრილს კატალონიაში ჩაეყარა. ძველისძველი კატალონიური ტრადიციის მიხედვით, ერის მფარველი წმინდანის, წმინდა გიორგის სახელობის დღეს ბარსელონელები და ქალაქის ირგვლივ მცხოვრებნი ერთმანეთს ვარდებს ჩუქნიდნენ.

1995 წელს კატალონიამ იუნესკოს ამ დღესასწაულის შესახებ მოახსენა, მის ინიციატივას გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციაც შეუერთდა და გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით, 23 აპრილი მსოფლიო წიგნის დღედ გამოცხადდა.

დასასრული მე-8 გვერდზე

პროცესის უკეთ წარმართვას, სხვადასხვა მუსიკალური ღონისძიებების გამართულად, მაღალ დონეზე ჩატარებას უწყობს ხელს, რა თქმა უნდა.

ახლახან გვქონდა პირველკლასელთა ღია კონცერტი. ბავშვებს და განსაკუთრებით პატარებს ახარებთ როილთან დაჯდომა და თუნდაც პატარა მუსიკალური ნაწარმოების შესრულება...

– სიახლეები...

– 9 აპრილს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს და სამშობლოს თავისუფლებას ზვარაკად შეწირულთა მარადიულ ხსოვნას მივუძღვენით კონცერტი წილკნის საბავშვო ბაღში. პატარები ხალისიანად გვისმენდნენ, განსაკუთრებით მოეწონათ ხალხურ საკრავებზე შესრულებული მელოდიები, ასეთივე კონცერტი მოვაწყეთ ამ დღეებში ახალგორის ბაგა-ბაღში.

ეს სიხარულის შეხვედრები იყო, რომელიც დიდხანს გაჰყვებათ, როგორც ჩვენი სკოლის მოსწავლეებს, ასევე მასპინძელ ბავშვებს.

სკოლის ადმინისტრაცია ვცდილობთ, მუსიკალურ განათლებასთან ერთად ჩვენს ბავშვებს ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეთ მუსიკალურ ან ჩვეულებრივ თეატრებზე. ამ მიზნით ვიყავით მოზარდ მაყურებელთა თეატრში 13 აპრილს, სადაც დავესწარით ნოდარ დუმბაძის უკვდავი მოთხრობის’„ჰელლადოს“ დადგმას. აქვე აღმოვაჩინეთ, რომ სპექტაკლის მთავარ ჯემალას როლს ასრულებდა ნიჭიერი მსახიობი ნიკა ხრიკული, რამაც ახალგორელებს სიხარული და სიამაყე მოგვგვარა.

პირველკლასელთა ღია კონცერტი

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაზეთის ფურცლებიდან მადლობა გადავუხადო კულტურის მინისტრს, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას და ასევე ახალგორის მუნიციპალიტეტს ყველა საქმეში თანადგომისა და დახმარებისათვის.

ჩვენი ოჯახის მთავარი სასაუბრო თემა ახალგორია...

წეროვნის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლემ თამარ /თათული/ ოდიშვილმა მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ ინგლისური ენის სამტურიან კონკურსში `spelling bee" პირველი ადგილი დაიკავა, რისთვისაც სერტიფიკატით და მზისფერი მედლით დაჯილდოვდა...



– თამარ, გილოცავ, წარმატებებს გისურვებ... რამდენი წლის ხარ? რომელ კლასში სწავლობ...

– 14-ის ვარ, მერვე კლასში ვსწავლობ...

– რა ქულებთან მეგობრობ?..

– სამი წელია, რაც ქულებს გვიწერენ და ათოსანი ვარ...

– ძალიან კარგი... რომელი საგნები უფრო გიყვარს...

– ყველას ვსწავლობ, განსაკუთრებით მიყვარს ინგლისური, მათემატიკა და ისტორია...

– კონკურსზე მიამბე... ღელავდი?

– კი, ვღელავდი... ძნელი იყო... დაძაბულები ვიყავით ყველა, კონკურენცია მაღალი იყო... ამ გამარჯვებას წინ უძღოდა პირველი და მეორე ტური... ფინალში რომ გავედი, გამარჯვების სურვილი კიდევ უფრო გამიძლიერდა /იცინის/.

პირველ ადგილზე მე და ჩვენი სკოლის მეცხრეკლასელი მარიამ მჭედლიშვილი გავედით. მეორე ადგილზე, ასევე, ჩვენი სკოლის მოსწავლე. ძალიან კარგი ბავშვები არიან, ერთმანეთის წარმატება გაგვიხარდა...

– ვინ გასწავლის ინგლისურს?

– მანანა ჩოხელი... ძალიან მადლიერი ვარ მისი.

– თამარ, ვინ გინდა გამოხვიდე...

– გადაწყვეტილი ჯერ არა მაქვს... ან იურისტი, ან ფინანსისტი...

– და-ძმები გყავს?

– 4 წლის და, მარიამი მყავს...

– სწავლის შემდეგ რას აკეთებ? კიდევ რა გიყვარს?..

– ინტელექტუალური თამაშები მიყვარს... სიმღერა მიყვარს, ოღონდ ქართული და თანაც ხალხური... ფანდურზე ვუკრავ, წიგნის კითხვა მიყვარს...

– მობილური ტელეფონი...

– ხანდახან... უფრო კითხვა მირჩევნია.

– ბოლოს რომელი წიგნი წაიკითხე? რომელი მწერალი გიყვარს?..

– ბოლოს ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა" წავიკითხე, ძალიან მიყვარს ეს მწერალი, ილია ჭავჭავაძე მიყვარს... ახლა „დათა თუთაშხიას" ვკითხულობ...

– ბოლოს როდის იტირე?

– აი, კუკარაჩა რომ კვდება...

– პოეზია არ გიყვარს?

– გალაკტიონზე ვგიჟდები...

– ახალგორი გინახავს?

– სამწუხაროდ, არა...

– რა იცი ახალგორზე?

– ძალიან ბევრი რამ... ჩემი მშობლები გუჯა ოდიშვილი და ნინო შაღაშვილი ყოველდღე ახალგორზე ლაპარაკობენ, ჩვენი ოჯახის მთავარი სასაუბრო თემა ახალგორია... რაღაცნაირად... იცით, როგორ მიყვარს?

ახალგაზრდებს ბევრი უამბეთ ახალგორზე, რომ მათაც უყვარდეთ...

მე-5 გვერდიდან

ცა ზღვარს დავაწესებდი, თუკი სასკოლო ფორმის ჩაცმაზე უარს იტყოდნენ. სასკოლო საგნები, ნამდვილად ყველა საჭირო, მნიშვნელოვანი და აუცილებელია, მაგრამ მე პრიორიტეტს მაინც მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლას მივანიჭებდი. გულსატკენია, ერთი ამბავი რომ არის ატეხილი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლის და არ სწავლის შესახებ... მე ვფიქრობ, რომ რადგანაც „აწმყო შობილია წარსულისაგან" და რომელ საუკუნეებშიც ის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები შეიქმნა, ეს სიამაყის მომგვრელია. მართალია, რთულია, მაგრამ აუცილებელი... „ვეფხისტყაოსანს" მეტ საათებს დავუთმობდი, ეს ხომ ქართველთა პირველი წიგნია, რომლის მსგავსი და სადარი აღარაფერი შექმნილა მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არა, უფრო დიდ და ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი...

– რას ეტყვით ჩვენი გაზეთის მკითხველებს?

– ახალგორი მენატრება... ახალ თაობებს ბევრი უამბეთ ახალგორზე... მათაც მინდა რომ ჩვენსავით უყვარდეთ...

– მადლობა, ლალი მასწავლებელო... მადლობა ნახევარი საუკუნის გარჯისა და შრომისათვის... გისურვებთ ჯანმრთელობას და ლამაზ წლებს...

23 აპრილი წიგნის საერთაშორისო დღეა

მე-7 გვერდიდან

– ამ თარიღთან დაკავშირებით, – **გვითხრა ახალგორის კულტურის ცენტრი-ბიბლიოთეკის დირექტორმა ეთერი ფსუტურმა,** – ახალგორის მუნიციპალიტეტის დახმარებით 1000 ლარის ღირებულების ჩვენი მოსახლეობისათვის მოთხოვნადი წიგნები შევიძინეთ და შევავსეთ წიგნადი ფონდი, რაც ძალზე სასიამოვნო ფაქტია და გაახარებს ჩვენს მკითხველებს.

„წიგნის დღესასწაულამდე" რამდენიმე დღით ადრე, ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მხარდაჭერით, ჩვენს ნიჭიერ, აქტიურ მკითხველებთან ერთად ვესტუმრეთ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას, დავათვალიერეთ ვეფხისტყაოსნის, ილია ჭავჭავაძის, ელექტრონული დარბაზები... ძალიან ლამაზი ემოციებით დატვირთული დღე იყო. მადლობას ვუძღვნით საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას გულთბილი მასპინძლობისათვის.

ქსნის ხეობის გარეშე ზღვის წვეთივით ცოტა ვარ

დავით ახლოური, საქართველოს მწერალთა კავშირის მაღალ ჯილდოს, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს ჩახალხთა საზოგადოების ახალგორის საგრიბის მეთაური.

აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე ცაბაძის, კალაკეთის ტაბაძის, ითუნ გრიბაჩევილის, კალინკა ლეონიძის, მარზა კვლიეკის, ნიკო სიმდაშვილის პრემიების ლაურეატი.

2019, 2022 წლებში, პოეზიის ეროვნული სახალხო ლეკსწაულ „ჟოთალიბასთან“ დაკავშირებით გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებისთვის მიღებული აქვს „ლიტერატურული მესხეთის“ პირველი პრემია.

დაჯილდოებულია ილიას გოგუაძვილის სიუბილეადმი მეცნიერთა და საპატიო სიგელით. ამინაწერებული აქვს ქართული კულტურის ამაღლებისა და მშვიდობის ალაფლების წოდებები.

ავტორია 30-ზე მეტი მეცნიერული „ქსნის ხეობის ისტორიის“ სამეცნიერულის, რომელიც დაბეჭდა სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

2024 წელს ეკლესია დავით ალმაშენებლის პრემია და ეაქრის მედალი.

* * *

გუშინ უშენობით მოვიწყინე,
მერე თეთრ ღამეებს მოვემატე,
აღარ ვიკამათოთ... მომისმინე...
უკვე უსაშველოდ მომენატრე.
როგორ მოწყენილი საღამოა,
რაღაც საწყალი და სევდისფერი,
წავა სიყვარული, აღარ მოვა,
მერე სინანული ვერ გვიშველის.
ჰოდა, სიყვარულსაც უნდა შველა,
ჰოდა, მეც ყოველდღე გინახულებ,
შენ არ მოიწყინო ჩემო ყველავ,
შენთვის ზამთარშიც კი ვიზაფხულებ.

***

ჩრდილებს არ ვირჩევ...
ჩრდილში მყოფსაც მომადგება მზე
და ამეწვება ვნებისაგან ღამე მალები...
არაფერს ვიტყვი სიყვარულზე, მონატრებაზე,
მზე იქ მიპოვის, სადაც ერთხელ დავემალები...
„წესიერადო!“- „გამიწყრება“, გამენაზება...
სულის საგანძურს გადამირჩენს ჩემი გერგეტი...
მერე მოვქარგავ ახალ ლექსებს ძვირფას ხაზებად,
ეამება და წამჩურჩულებს: „ნუ ხარ ეგეთი“...
იმ მდინარეში არ შევდივარ, სადაც ფონია,
სადაც ადვილად გადალახავს ენგურს თარაში...
ზედმეტად ფრთხილი მფრთხალიაო - გამიგონია
და არც მე მინდა ჩრდილების ქვეშ მზესთან თამაში...
ყველა სასწაულს დამავიწყებს ევას ქალობა...
გათენდება და პირჯვარს დამწერს თავად იესო...
და თუ ამრია სიშორემ და ეჭვიანობამ,
ქრისტეს თვალები მეტყვიან, რომ - გაპატიებსო...
საოცარია,
ჩრდილში მყოფსაც მომადგება მზე
და ამეწვება ვნებისაგან ღამე მალები,
არაფერს ვიტყვი სიყვარულზე, მონატრებაზე,
მზე იქ მიპოვის, სადაც ერთხელ დავემალები...

***



სამოთხე დათმეს
ერთმანეთის შეცნობის
გამო...
სამოთხე დათმეს
„ადამ და ევამ“...
უფრო ელვარე
გამხდარიყო მზე
ცოდვის გამო,
რისთვისაც ღმერთმა
ედემიდან გამოაძევა
ღვთიური წყვილი -
შეცდომილი ზრახვით
წყეულის...
(ზეცა გადაწვეს ალ-
ბათ, იმ დღეს,
ვნების ალებმა)...
მე კი, როდესაც შეგიცანი ევას სხეულით,
სამოთხე მაშინ დამიბრუნეს შენმა თვალებმა...

***

ბაღში ენძელები იღვიძებენ,
გლოცავ თოვლისფერი ჭიქით და...
იცი? - მენატრები სიგიჟემდე,
ზოგჯერ ამ სიგიჟის იქითაც...
შენ კი კეკლუცობ და მეურჩები,
თითქოს სიყვარულის არ გჯერა,
მაგრამ გულს თუ ერთხელ შეუჩნდები,
მერე უნდა ჰყავდე სასჯელად.
მერე ტკივილებად დამიტოვებ
ყველა კითხვასა და გამოცდას,
რაკი ნაბიჯები გაგიტოლე,
რაკი სიყვარულზე წამომცდა...
ხედავ? - ენძელები იღვიძებენ
ჩემი თოვლისფერი ჭიქიდან...
ზოგჯერ მენატრები სიგიჟემდე,
ზოგჯერ ამ სიგიჟის იქითაც...

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲚᲐᲜᲓᲔᲑᲘ

ჩემს სიზმარში ჯერ ისევ გაზაფხულის დარია,
დედის თბილი ხმა მესმის... ეზოშია ბებიაც...
გაკვეთილებს მოვრჩი და სახლში მიმიხარია,
შარშანდელი ზვავები მზის ალერსით დნებიან.
ჩემს სიზმარში ჩიტიანთ ყანას ჭამენ ჩიტები
და განვდევნით, როგორც კი მოვა „ჩიტი-ფაფობა“...
მურაბით მაქვს მოთხვრილი თოკზე ჭრელი ჩითები,
ჩვევად მექცა ქილაში ჩუმად თითის ჩაყოფა...
ჩემს სიზმარში ჭორჭოხის მთიდან მოჩანს იელი
და ყველდაბის აღმართზე ენძელები ყვავიან...
მიუყვება ჭურთულას გოგო მოჭალიელი,
უცხო ვაჟის დანახვამ მარტივით რომ არია.
ჩემს სიზმარში საღამოს შვიდის ნახევარია,
ავტობუსი სოფლისა კელაკლდეებს გამოცდა...
ვიდრე დაასრულებენ წლები ყრმობის არიას,
ჩავაბარებ ბავშვობას სიყმაწვილის გამოცდას...
მერე სადღაც გაქრება ლანდები და... ცოდვაა...
რეალობა მტარვალის ხელით შეიბილწება...
ქსნის ხეობის გარეშე ზღვის წვეთივით ცოტა ვარ,
საქართველო ჩემთვის ხომ ყელის ტბიდან იწყება!!!

ცნობილი მოკრივე იკოთიდან

გიორგი გიგნიაშვილი 11 წლის იყო, კრივით რომ დაინტერესდა და წეროვნის დევნილთა დასახლების კრივის დარბაზში დაიწყო ვარჯიში...

– როცა ვარჯიში დავიწყე, – გვიამბობს გიორგი, – ოლიმპიური კრივი ჩემი ცხოვრების ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა და ასეა დღემდე, როცა უკვე საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი ვარ...

საწყის ეტაპზე მქონდა ბევრი იმედგაცრუება, ეს რთული პერიოდი იყო, რაც საკუთარი თავის რწმენამ, მიზანდასახულობამ, სისტემატურმა ვარჯიშმა გადამალახინა.

2023 წელს ბათუმში გაიმართა საქართველოს პირველობა, სადაც ჩავატარე სამი ბრძოლა, ფინალურ ორთაბრძოლაში კი დავუპირისპირდი მსოფლიოს რეიტინგში პირველ ნომერს, ოლიმპიადისტს, რუსთაველ მოკრივეს ლაშა გურულს, რომელთანაც მცირე უპირატესობით დავმარცხდი. ეს დამარცხება გამოუცდელობის ბრალი იყო, თუმცა ამ ბრძოლით დიდი გამოცდილება მივიღე.

– ახლა რა ეტაპზე ხარ?..

– ამჟამად საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი ვარ. ვმონაწილეობ სხვადასხვა შეკრებებში, ვემზადები საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის. მეამაყება, რომ ვარ ახალგორელი, სოფელ იკოთიდან, თუმცა შეჯიბრებებზე ერედვის სახელით გავდივარ, რადგანაც, როცა ვარჯიში დავიწყე, მაშინ არ ფუნქციონირებდა ჩვენს დასახლებაში კრივის სექცია. ჩემი მწვრთნელია ივანე ქრისტესიაშვილი, რომლის მადლიერი ვიქნები სიცოცხლის ბოლომდე. ერედვი თვალითაც არ მინახავს. ერედველებიც ჩვენს დასახლებაში ცხოვრობენ და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, კინოფილმ'„მამელუქისა“ არ იყოს, ყველანი ბედკრული საქართველოს შვილები ვართ, ამჯერად იძულებით გადაადგილებულები და ჩასახლებულები წეროვნის დევნილთა დასახლებაში. სრულიად საქართველოს გავაცანი ახალგორი, ჩემი სოფელი იკოთი და ერდვიც სპორტის ამ სახეობაში.

ამ ეტაპზე თბილისში ვიჟენ აკადემიის დარბაზში გავდივარ ტაქტიკურ ვარჯიშებს. საქართველოს ჩემპიონობის შემდეგ ეს დარბაზი გახდა ჩემი ოფიციალური სპონსორი, რომელიც უზრუნველყოფს ყველანაირ ფინანსურ ხარჯებს შეჯიბრებებზე გამგზავრების დროს. მადლიერებით მინდა ვახსენო, ივანე ქრისტესიაშვილთან ერთად, ფიზიკური მომზადების ტრენერი თამაზ ფხაკაძე, ასევე ერედვის გამგეობა, რომელიც წლების მანძილზე გვერდით მიდგას.

გიორგი გიგნიაშვილი
და ივანე
ქრისტესიაშვილი

– სამომავლო გეგმები...

– საქართველოს მინდა გავცდე და მსოფლიოს გავაცნო ჩვენი მხარე, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვცხოვრობთ და მიუხედავად დევნილობისა, გვაქვს მიზანი, მომავლის იმედი. ჩვენი ქვეყნის, კუთხის სიყვარული და მისი წარმოჩენის სურვილი, რისთვისაც პირადად მე, ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ... დროსაც მაქსიმალურად გამოვიყენებ... მჯერა, ოცნებები ახდება...

ჭიდაობას რა უნდა...

კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა: ახალგორის სასპორტო სკოლის სპორტსმენები – საბა ქასოშვილი, გიორგი ბეგაშვილი, გიგა ჯარმელიშვილი, თემურ მილაძე, რობი კახნიაშვილი (მწვრთნელები დავით ილურიძე და გიორგი ფიცხელაური) სხვადასხვა წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონების ტიტულით დაბრუნდნენ სახლში ქ. თერჯოლაში გამართული რესპუბლიკური ტურნირიდან.

ახალგორელი ფეხბურთელების წარმატებები

სიამაყით გვავსებს ახალგორელებს ჩვენი პატარა ფეხბურთელების წარმატებები: მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ჩემპიონატის პირველ ტურზე /2013-14 წლიანი ბავშვები/ სამი მოგების შემდეგ წაუგებლად დაიკავეს პირველი ადგილი. მწვრთნელი ირაკლი ბალაშვილი.

ბიჭებს არც გოგონები ჩამოუვარდებიან. მათ წარმატებით დაიწყეს ეს სეზონი. 15 აპრილს მათ მონაწილეობა მიიღეს'ქალთა ლიგა-2'და სამი ჩატარებული თამაშის შედეგებით მეორე ადგილზე გავიდნენ, ხოლო 21 აპრილს შეხვდნენ ლანჩხუთის გუნდს და მოიგეს 2: 0.

28 აპრილი – ბზობა, ბაიობა

ბზობა, ბაიობა – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო დღესასწაული. მოძრავია, აღინიშნება აღდგომის წინა კვირა დღეს. წელს ბზობის დღესასწაული 28 აპრილს აღინიშნა.

ქრისტიანულ მსახურებაში ბზობის დღესასწაული IV საუკუნეში შემოვიდა (საწყისს იღებს ძველი ებრაული დღესასწაულიდან). მისი შინაარსი დაფუძნებულია სახარების მოთხრობაზე, რომელშიც გადმოცემულია იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი. იესოს მოსახლეობა ზეიმით შეეგება, ზოგი მის სახედარს ფეხქვეშ თავის სამოსს უგებდა, ზოგი პალმის ტოტებს – ბაიას უფენდა, თან „ოსანას“ შესძახოდნენ. ბზობის რიტუალი სიმბოლურად იმეორებს სახარების ამ მოთხრობის ზოგიერთ დეტალს; მღვდელმსახურნი მლოცველთა მიერ მიტანილ ტოტებს აკურთხებენ, გალობენ „ოსანას“ და სხვა. ბევრ ქვეყანაში პალმის მაგივრობას ბზა ასრულებს (აქედან ქართული „ბზობა“).

უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგება ბზობას

ამონარიდი

დღეს არის ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული - იერუსალიმში იესო ქრისტეს დიდებით შესვლისა. ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე იესო ქრისტე მრავალგზის შესულა იერუსალიმში, მაგრამ ეს განსაკუთრებული შესვლა იყო, შესვლა ზეიმით ოქროს კარიბჭიდან. იერუსალიმის დამცველ გალავანს რამდენიმე კარიბჭე ჰქონდა დატანებული, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი ოქროს კარიბჭე იყო. იგი დღესაც არსებობს. როდესაც მე ისრულიმში გახლდით, ეს კარიბჭეც ვინახულე. მისი სიგანე ხუთი მეტრი იქნება. დღეს იგი ამოქოლილია და როგორც წმიდა მამები ამბობენ, მეორედ მოსვლის ჟამს გაიხსნება.

სახარებაში ვკითხულობთ, რომ როცა უფალი ამ კარიბჭით ქალაქში შევიდა, მთელი იერუსალიმი შეიძრა და გამოეფინა მის შესახვედრად. ერთხმად ღაღადებდნენ და ადიდებდნენ იესო ქრისტეს; ასეთი დიდებული შეხვედრა იერუსალიმში მანამდე არცერთი მეფისა და არცერთი კეისრისათვის არ მოუწყვიათ. ხალხი არა მხოლოდ მწვანე რტოებს, არამედ სამოსელსაც იხდიდა და იმ სახედარს უფენდა, რომელზეც უფალი იჯდა. ბზის ტოტები, რომელნიც თქვენ ახლა გიჭირავთ ხელში, იმის მომასწავებელია, რომ თქვენც სიხარულით ხვდებით უფალს, რომელიც ჩვენთან მოდის და ჩვენთან დარჩება, უკეთუ ამას ჩვენ თვითონ მოვინდომებთ, რადგან სადაც რწმენა, ლოცვა, მიტევება და სიყვარულია, უფალიც იქაა.

...როცა მთელი ერი ადიდებდა და ისე ხვდებოდა უფალს, იესო ქრისტე, ნაცვლად იმისა, რომ სიხარული დაუფლებოდა, ტიროდა. იგი ტიროდა იმიტომ, რომ იცოდა ადამიანის ბუნება, იცოდა, რომ იგივე ხალხი, რომელიც მას ზეიმით ხვდებოდა, სულ სამი-ოთხი დღის შემდეგ მის ჯვარზე გაკვრას მოითხოვდა. იგი თავისთავს კი არა, ამ ხალხს დასტიროდა, რადგან მან - ნათელი, რომელიც მის შორის იყო, ვერ იხილა და ღვთისგან ბოძებული მადლი და წყალობა უარყო.

პავლე მოციქული ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში წერს: გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ, კუალად გეტყვი, გიხაროდეს (ფილიპ. 4,4). შესანიშნავი სიტყვებია, რომელიც უდიდეს საიდუმლოს იტევს: გიხაროდენ მარადის, ე.ი. მხოლოდ დღეს კი არა, არამედ მარადის, მხოლოდ აქ, დედამიწაზე კი არა, არამედ აქაც და იქაც, იმ ქვეყანაშიც. გიხაროდეს მარადის უფლისა მიერ, ანუ შენი სიხარული დაუსრულებელი და მარადიული მაშინ იქნება, თუ იგი უფლის მიერაა მონიჭებული, თუკი იგი უფლის რწმენასა და სიყვარულზეა დაყრდნობილი.

საერთოდ გიხაროდენ არა მიწიერი, არამედ ზეციური მისალმებაა. თქვენ გახსოვთ, როდესაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს უფლის ბრძანებით მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა, პირველი სიტყვა, რომლითაც მიმართა, იყო გიხაროდენ. გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა. აი, როდის უხარია ჭეშმარიტად ადამიანს, როდესაც უფალი მასთანაა. თქვენ ალბათ შემეპასუხებით, მიწიერი სიხარულიც ხომ არსებობსო, რა თქმა უნდა არსებობს და მას არც უფალი უარყოფს, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ მიწიერი სიხარული წუთიერი და წარმავალია, უფლისმიერი კი - მარადიული... მისი მოპოვების გზას თავად მოციქული გვასწავლის, როცა ამავე ეპისტოლეში მოგვიწოდებს: **ამიერითგან, ძმანო, რაოდენი არს ჭეშმარიტ, რაოდენი პატიოსან, რაოდენი მართალ, რაოდენი წმიდა, რაოდენი საყუარელ, რაოდენი საქებელ, რაოდენი სათნო და რაოდენი ქებულ, აი, თუ ამ თვისებებით - პატიოსნებით, სიმართლით, სიწმინდით და სათნოებით შეიმოსებით, უფალი ჩვენთან იქნება, ხოლო უკეთუ უფალი ჩვენთან იქნება, მაშასადამე სიხარულიც ჩვენთან იქნება.** სიხარული ხომ სიყვარულიდან მომდინარეობს. ვისაც სიყვარული არ შეუძლია, მას არც სიხარულის განცდა ექნება. მაგალითი თუნდაც მიწიერი ცხოვრებიდან მოვიტანოთ. როდესაც თქვენ ვინმე გიყვართ, გინდათ განუშორებლად მასთან იყოთ და ამ დროს სხვა აღარავინ და აღარაფერი გახსოვთ. მით უმეტეს, რამდენად საყვარელი და სათნოა უფალი, რომელიც თვითონ არის უზენაესი სიყვარული. მაშასადამე, თუ ღმერთი ჩვენთან იქნება, ჩვენთან იქნება მარადიული სიხარულიც. თანამედროვე კაცობრიობას სწორედ ეს სიხარული აკლია, რადგან მან რწმენა და სიყვარული დაკარგა. თუ იგი კვლავ დაიბრუნებს რწმენას და სიყვარულს, სიხარულიც დაუბრუნდება.

მე შევსთხოვ უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, რომ ის

დასასრული მე-12 გვერდზე

დედამიწა ჩვენი სახლია!

დედამიწის დღესთან დაკავშირებით ფრეზეთის ბაგა ბაღში უჩვეულო აქტივობები მოეწყო ბავშვების მშობლების ჩართულობით, რომლებმაც თავიანთ შვილებთან ერთად დარგეს ხეები და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იზრუნებენ და ყურადღებას არ მოაკლებენ მათ გახარებასა და გაზრდას. აქტივობების სლოგანია: გადავარჩინოთ ჩვენი პლანეტა! ვიზრუნოთ დედამიწაზე! არ დავაბინძუროთ დედამიწა! დედამიწა ჩვენი სახლია!

პატარებმა საღვთისმოსავ ხორბალი დათესეს

ახალგორის საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისათვის ემზადებიან. მასწავლებლის ხელმძღვანელობით და მითითებით მათ პატარა თეფშებზე დათესეს ხორბალი, რაც ხალისიანად და მხიარულად შეასრულეს, ახლა კი გულის ფანცქალით ელოდებიან ჯეჯილის ამოსვლას, რათა წითლად აელვარებული სააღდგომო კვერცხები თავიანთ ნახელავ ჯეჯილზე დააწყონ სააღდგომო სუფრაზე ლამაზად.

უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგება ბზობას

მე-11 გვერდიდან

რწმენა და სიყვარული, რომლითაც მან ჩვენი კურთხეული ერი დააჯილდოვა, არ დავკარგოთ, შევსთხოვ, რომ მთელ ქვეყანასა და მთელ საქართველოს ბედნიერი აღდგომა გაუთენოს.

განსაკუთრებით მინდა ვილოცო იმ ქართველებისათვის, რომელნიც უცხოეთში ცხოვრობენ და მშობლიური მიწა-წყალი ენატრებათ. ღმერთმა ყველანი შეგიწყალოთ და მტერი მოყვარედ და გლოვა სიხარულად გადაგიქციოთ.

შეგახსენებთ, რომ აღდგომამდე დარჩენილ ერთ კვირას ვნების შვიდეული ეწოდება. ვისაც ამდენ ხანს არ უმარხულია, კარგი იქნება ეს ერთი კვირა მაინც იმარხულოს. ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს პირველშეწირულის წირვა შესრულდება, ხუთშაბათს იქნება ზეთის კურთხევა, რომელიც შვიდი საიდუმლოდან ერთ-ერთს წარმოადგენს... როგორც წმიდა მამები გვასწავლიან, იგი სულისა და ხორცის საცხოვნებელია, რადგან ადამიანს ის ცოდვები ეპატიება, რომელთა თქმაც აღსარებაში დაავიწყდა. ზეთის ცხების შემდეგ ათ საათზე დაიწყება წირვა, რადგან ეს ის დღეა, როცა ჩვენ საიდუმლო სერობას ვახსენებთ. თქვენ გახსოვთ, რომ ამ დღეს უფალმა ზიარება დააწესა და თავისი მოციქულები პირველად აზიარა... ხუთშაბათს საღამოს იქნება ცისკარი, რომელზეც 12 ვნების სახარება იქნება წაკითხული. პარასკევს დილას ჟამნობა დაიწყება, ხოლო 2 საათზე გარდამოხსნის გამოსვენება. შაბათს დილას წირვა შესრულდება, ხოლო შუაღამეზე კი - შუაღამიანი და სააღდგომო ლიტანიობა.

ღმერთმა ბედნიერი და სიხარულის მომტანი აღდგომა გაგითენოთ თქვენ და სრულიად საქართველოს, ამინ!

1 მაისი. 1983 წელი